

საქართველოს კანონი

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №12-13, ნოემბერ-დეკემბერი, 1993 წ., მუხ. 223) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) 18-დან 27 წლამდე ასაკის პირებისთვის სამხედრო ბილეთის ასლი ან ცნობა სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების, სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან განთავისუფლების ან სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლების შესახებ;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22¹ მუხლი:

„მუხლი 22¹. ემიგრაციის ნებართვის გაუქმება

ემიგრაციის ნებართვა შეიძლება გაუქმდეს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ან სააგენტოს ინიციატივით – თუ გამოვლინდა დაინტერესებული პირის მიერ ემიგრაციის ნებართვის მისაღებად ყალბი დოკუმენტების წარდგენის ფაქტი.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი